საქართველოს მთავრობის

დადგენილება №231

2025 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №592 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2022, 010220030.10.003.023803) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ – „კ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და დაგეგმვის კოორდინაციის მიზნით, განისაზღვროს ეკონომიკური საბჭოს (შემდგომში – საბჭო) შემადგენლობა:

1. **საქართველოს პრემიერ-მინისტრი** – საბჭოს თავმჯდომარე.

2. **საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში** – საბჭოს მდივანი.

3. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი** – საბჭოს წევრი.

4. **საქართველოს ფინანსთა მინისტრი** – საბჭოს წევრი.

5. **საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი** – საბჭოს წევრი.

6. **საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი** – საბჭოს წევრი.

7. **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი** – საბჭოს წევრი.

8. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი** – საბჭოს წევრი.

9. **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** – საბჭოს წევრი.

10. **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი** – საბჭოს წევრი.“;

ბ) 1^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^1**. საბჭოს მუშაობაში, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ საქართველოს მთავრობის წევრებს, საქართველოს პარლამენტის წევრებს, მუნიციპალიტეტების მერებს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელ პირებს.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „ეკონომიკური საბჭოს დებულების“:

ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საბჭოს მოწვეული წევრები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საბჭოს წევრების გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე შეიძლება, მოწვეულ იქნენ ადმინისტრაციული ორგანოსა და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები.“;

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა

1. საბჭოს ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

2. საბჭოს მდივნის საქმიანობა შესაძლოა, იყოს ანაზღაურებადი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**